სიტყვების მათემატიკა

მოსწავლეები კითხულობენ სიტყვის ბარათებს და ითვლიან სიტყვაში ასოების რაოდენობას.



კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: წყვილები.

რესურსი: სიტყვის ბარათების დასტა, ფურცელი, კალამი.

მსვლელობა

- მასწავლებელი ამზადებს ლუწი რაოდენობის ბარათების დასტას.
- აწყვილებს მოსწავლეებს და თითოეულ წყვილს მაგიდაზე ან იატაკზე უწყობს გადაბრუნებული ბარათების დასტას ლუწი რაოდენობით (4-8 ცალი).
- მოსწავლეები მორიგეობით იღებენ თითო-თითო ბარათს და ხმამაღლა კითხულობენ. შემდეგ თვლიან სიტყვაში ასოების რაოდენობას და წერენ წინასწარ მომზადებულ ფურცელზე.
- მას შემდეგ რაც ყველა ბარათს წაიკითხავენ, მოსწავლეები შეკრებენ ქულებს საკუთარ ფურცლებზე, დააჯამებენ წყვილებში.
- გამარჯვებულად ჩაითვლება ის წყვილი, რომელიც სწორად შეკრებს ქულებს.

ვარიაციები

- მოსწავლეები ითვლიან და აჯამებენ მხოლოდ ხმოვანთა/თანხმოვანთა რაოდენობას.
- მოსწავლეები ითვლიან და აჯამებენ მხოლოდ იმ ასოთა რაოდენობას, რომლებიც არ მეორდება სხვა სიტყვებში.
- მოსწავლეები ითვლიან და აჯამებენ მხოლოდ იმ ასოთა რაოდენობას, რომლებიც საერთოა სხვადასხვა სიტყვისთვის.